პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-20 წელი

№ 103 (2466) ◉ ოთხშაბათი, 27 მაისი, 1964 წ. ◉ ფასი 3 კაპ.

## გუშინ — თბილისის სპორტის სასახლეში

„ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — 55:35
„ტექსტილმაში" (ტაშკენტი) — „პოლიტექნიკი" (კაუნასი) — 59:54
„სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი) — 56:50
სკა (ლენინგრადი) — „დინამო" (კიევი) — 61:48
„ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — სპი (თბილისი) — 67:54
ტტტ (რიგა) — უსკა (ტარტუ) — 68:46

# როდესაც დაცვა თავდასხმაზე სუსტია

კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის პირველმა დღემ ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა. ლიდერებმა თავიანთ სატურნირო ბალანსს თითო ახალი ქულა შემატეს და კიდევ უფრო განიმტკიცეს მდგომარეობა.

და მაინც, ერთი მატჩის შედეგი ბევრისთვის მოულოდნელი იყო. მხედველობაში გვაქვს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ლენინგრადის „ბურევესტნიკის" შეხვედრა, რომელშიც გამარჯვება სტუმრებს დარჩათ. აი, რა თქვა ამ მატჩზე თბილისელთა გუნდის მწვრთნელმა ლ. ძეკონსკიმ:

— დამარცხება, რა თქმა უნდა, არასდროს არ არის სასიამოვნო, მაგრამ ამ შემთხვევაში გულდასაწყვეტი მისი გამომწვევი მიზეზი იყო. ჩვენ ძალზე სუსტად ვითამაშეთ დაცვაში, რის გამოც სამართლიანად დავისაჯეთ.

მწვრთნელის ამ მოკლე განცხადებაში ბევრი რამ იყო თქმული. მართლაც და ძნელია თავდამსხმელთათვის რაიმე პრეტენზიის წაყენება, როდესაც ისინი მატჩში 50-ზე მეტ ქულას აგროვებენ. მაგრამ დაცვა? სწორედ მისი სუსტი თამაშის გამო მიიღო ჩვენმა გუნდმა 67 ქულა, რამაც საბოლოოდ მისი დამარცხება განაპირობა.

ჩემპიონატის პირველ წრეში, როდესაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდი გაცილებით სუსტად თამაშობდა, მან დაამარცხა ლენინგრადის „ბურევესტნიკი". ამჟამად კოლექტივი უდავოდ აღმავლობის გზაზეა და კიდევ უფრო ამიტომ იყო დასანანი ეს მარცხი.

შეხვედრის პირველი ნახევარი ცვალებადი უპირატესობით აღინიშნა. მართალია, ლენინგრადელებს სულ მიჰყავდათ ანგარიში, მაგრამ სხვაობა ორ-სამ ქულას არ აღემატებოდა. ლენინგრადელთაგან შორი მანძილიდან ზუსტი სროლით გამოირჩეოდნენ ე. კნეტი და ლ. ნიკიშინა. მათ ბევრი უსიამოვნება მიაყენეს ჩვენს დაცვას, განსაკუთრებით კი პირველი ტაიმის ბოლო წუთებში და მატჩის მეორე ნახევარში (პირველი ტაიმი თბილისის გუნდმა წააგო ანგარიშით 29:39).

შესვენების შემდეგ თბილისელთა მდგომარეობა თითქოს გამოსწორდა. ლ. ქველიძისა და გ. გრიგორიანის ზუსტი ტყორცნების შემდეგ ანგარიშში სხვაობა 7 ქულამდე შემცირდა. მაგრამ ეს, როგორც ჩანს, გუნდის უკანასკნელი გაბრძოლება იყო, სულ რაღაც 3 წუთში სტუმრებმა 8 „უპასუხო" ქულა მოიპოვეს და თამაშის ბედიც ფაქტიურად გადაწყდა.

**ნ. გუგუშვილი**

### თამაშების კალენდარი

28 მაისი. 13.00. „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) — „ტექსტილმაში" (ტაშკენტი), 14.30. უნივერსიტეტი (ტარტუ) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი), 16.00. „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) — „დინამო" (კიევი), 17.30. „პოლიტექნიკი" (კაუნასი) — „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი), 19.00. „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) — სპი (თბილისი), 20.30. სკა (ლენინგრადი) — ტტტ (რიგა).

30 მაისი. ტტტ (რიგა) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი), „სიბირიაჩკა" (ნოვოსიბირსკი) — უნივერსიტეტი (ტარტუ), „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი), „დინამო" (კიევი) — „პოლიტექნიკი" (კაუნასი), სპი (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი), „ტექსტილმაში" (ტაშკენტი) — სკა (ლენინგრადი).

29 მაისი — დასვენების დღეა.

### გათამაშების ცხრილი
I—XII ადგილები

მდგომარეობა 27 მაისისათვის

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| ტტტ რიგა | 17 | 17 | 0 | 17 |
| სკა ლენინგრადი | 17 | 12 | 5 | 12 |
| „ტექსტილმაში" ტშ. | 17 | 11 | 6 | 11 |
| „ბურ". ლენინგრ. | 17 | 10 | 7 | 10 |
| უსკა ტარტუ | 17 | 9 | 8 | 9 |
| ხიმ მოსკოვი | 17 | 9 | 8 | 9 |
| სპი თბილისი | 17 | 7 | 10 | 7 |
| „სიბირიაჩკა" ნს. | 17 | 6 | 11 | 6 |
| „დინამო" კიევი | 17 | 6 | 11 | 6 |
| „პოლიტექნიკი" კნ. | 17 | 6 | 11 | 6 |
| „ურალმაში" სვ. | 17 | 6 | 11 | 6 |
| „სპარტაკი" მ. ო. | 17 | 3 | 14 | 3 |

### დღეს მოსკოვში დიდი ფეხბურთია!

სსრ კავშირისა და შვეციის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების დღევანდელი შეხვედრის არბიტრი კვლავ ინგლისელია, მაგრამ არა ჯიმ ფინეი, რომელმაც სტოკჰოლმში იმსაჯა, არამედ არტურ ჰოლანი. მისი სასტვენი „სტარტს მისცემს" ამ ორი ქვეყნის ნაკრებთა მეშვიდე მატჩს. ამ თამაშებში სამჯერ გაიმარჯვა საბჭოთა გუნდმა, ორჯერ — შვეციისამ, ერთი შეხვედრა კი ფრედ დამთავრდა.

მეტოქეთა კარში საბჭოთა ფეხბურთელებმა გაიტანეს 16 ბურთი, ხოლო თავისაში მიიღეს 4. სსრ კავშირისა და შვეციის ნაკრები გუნდების ყველა შეხვედრაში მონაწილეობდნენ მცველი ბერგმარკი და მეკარე იაშინი. სხვათა შორის, დღევანდელი მატჩის წინ, ყოველკვირეული ჟურნალის „ფრანს ფუტბოლის" მთავარი რედაქტორი მაქს იურბინი იაშინს, როგორც 1963 წლის სეზონის მიხედვით ევროპის საუკეთესო ფეხბურთელს, გადასცემს „ოქროს ბურთს" — ფრანგული ჟურნალის ტრადიციულ პრიზს (იაშინი დღეს ჩაატარებს 59-ე თამაშს ნაკრების შემადგენლობაში).

საკავშირო რადიო აწყობს დღევანდელი მატჩის ტრანსლაციას. პირველი ტაიმი გადმოცემული იქნება მეორე პროგრამით, მეორე ტაიმი კი — პირველით. თამაში იწყება 20 საათზე თბილისის დროით.



მსოფლიო ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილსა (მარცხნივ) და საჭადრაკო გვირგვინის აღიარებულ პრეტენდენტს, იუგოსლაველ საერთაშორისო ოსტატ ვერა ნედელკოვიჩს კარგად იცნობს საჭადრაკო სამყარო. ისინი საჭადრაკო დაფასთან არიან მეტოქენი, ცხოვრებაში კი კეთილი, მეგობრული განწყობილება აქვთ. სწორედ სოხუმის სასტუმროსთან გულითადი საუბრის დროს გადაუღო მათ ეს სურათი ფოტოკორესპონდენტმა ი. ჭოხონელიძემ.

## უკანასკნელი საათი...

**პარიზი.** აქ გაიმართა სსრ კავშირისა და საფრანგეთის ძიუდოისტთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. გაიმარჯვეს საბჭოთა მოჭიდავეებმა — 4:3.

მძიმე წონის ათლეტთა შეხვედრის წინ ანგარიში მასპინძლებს მიჰყავდათ — 3:1. მაგრამ ჩვენი მძიმე წონის მოჭიდავეები მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ. ჯერ კიეველმა ვ. საუნინმა დაამარცხა საფრანგეთის ჩემპიონი ჟ. დესაი, შემდეგ ევროპის ჩემპიონმა ა. კიკნაძემ (თბილისი) მოუგო ი. რაიმონს, და, ბოლოს, თბილისელმა ფ. ჩიკვილაძემ დაამარცხა ლემუანი.

**ძალოსნობის** საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებით, ევროპის მორიგი ჩემპიონატი სიმძიმეთა აწევაში პირველად ტარდება საბჭოთა კავშირში. ამ ასპარეზობის ორგანიზება დაევალა სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაციას. ტურნირი დაიწყება 25 ივნისს, მოსკოვში.

ა მ ს ტ ე რ დ ა მ ი. 26 მაისს, საზონათშორისო ტურნირის VI ტურში თითქმის ყველა შეხვედრა დაძაბულად მიმდინარეობდა. ტალმა მე-20 სვლაზე დაამარცხა პახმანი, ბრონშტეინმა ფიგურის შეწირვით 22-ე სვლაზე მოუგო ფოგელმანს. ივკოვმა დაამარცხა ბილეკი. ყაიმით დამთავრდა სმისლოვ — შტეინის, ბენკო — ლარსენის და პორატ — დარგას პარტიები. გადადებულ პარტიაში პორტიშთან სპასკი უპირატესობას ინარჩუნებს.

მეხუთე ტურში ყაიმით დამთავრდა პარტიები: რეშევსკი — პორტიში, ევანსი — ლენდიელი, ვრანეშიჩი — ბილეკი, როსეტო — ბენკო, კვინონესი — პორატი, დარგა — გლიგორიჩი.

**გუშინ** შედგა მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში, რომლებიც ასე დამთავრდა: „ენერგეტიკი" (დუშანბე) — „დაუგავა" (რიგა) 3:1, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (ლენინგრადი) 1:0, „ზარია" (ლუგანსკი) — სკა (ნოვოსიბირსკი) 4:0, „ალგა" (ფრუნზე) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 2:1, სკა (კიევი) — „კარპატი" (ლვოვი) 0:1.

## საერთაშორისო ტურნირის მონაწილეები

25 მაისს, სოხუმში, ქალთა IV ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის დამთავრების შემდეგ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თ. გიორგაძე ტურნირის შედეგებთან დაკავშირებით ესაუბრა შეჯიბრების ყველა მონაწილეს.

ცნობილმა მოჭადრაკეებმა სიამოვნებით ილაპარაკეს მიღებულ შთაბეჭდილებებზე, თავიანთ კოლეგებზე და სხვ. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ საუბრებს.

### ნონა გაფრინდაშვილი,
მსოფლიო ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი.



ტურნირში მეტად ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. საკმარისია ითქვას, რომ სოხუმში მსოფლიო ჩემპიონის სახელის ხუთი პრეტენდენტი თამაშობდა. მაგრამ ამას არ შეუკრთია ახალბედები — გ. ბუცხრიკიძე და ნ. ალექსანდრია, რომლებმაც პერსპექტიულ მოჭადრაკეებად გააცნეს თავი საზოგადოებრიობას.

ჩემი შედეგით, ცხადია, კმაყოფილი ვარ.

ვფიქრობ, ნედელკოვიჩმა ვერ დაიკავა მისი ოსტატობისთვის შესაფერისი ადგილი. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მის თამაშში ამოიკითხებოდა დიდი ერუდიცია და უშრეტი ბრძოლისუნარიანობა. ამის ნათელი დამადასტურებელია იუგოსლაველის პარტიები ასენოვასთან და ალექსანდრიასთან.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ის მეგობრული განწყობა, რომელიც ტურნირზე სუფევდა. ამას დიდად შეუწყო ხელი ტურნირის შესანიშნავმა ორგანიზაციამაც, რომლისთვის აფხაზეთში ჭადრაკის მესვეურთ არაფერი დაუშურებიათ.

### ალა ჩაიკოვსკაია,
საქართველოს ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი.



მეამაყება, რომ საქართველოს მოჭადრაკეებმა წარმატებით ვითამაშეთ. ციფრებით ეს ასე გამოითქმის: საბჭოთა მოჭადრაკეებს (ე. ბიკოვას, მ. რანიკუს, ლ. ბელავენეცს) შეხვედრები მოვუგეთ — 7,5:4,5, უცხოელებს (ვ. ასენოვას, ე. კელერ-გერმანს, ვ. ნედელკოვიჩს, მ. ტეოდორესკუს, ც. კარაკაშს) — 12,5:7,5. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ბოლო წლებში ჩვენ შესამჩნევად გავაუმჯობესეთ თამაში.

ჩვენი ლიდერი — ნ. გაფრინდაშვილი — შეუდარებელი იყო. მასთან უკვე შეუძლებელია თამაში, ძალიან მკაცრად „გვსჯის" ყოველი შეცდომისთვის. კელერ-გერმანს მან ისე მოუგო პარტია, რომ გერმანელმა მოჭადრაკემ ვერც გაიგო, სად დაუშვა შეცდომა. მეც ასე „დამსაჯა".

საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ. ასეთ ტურნირში მეორე ადგილის დაკავება უდიდეს მიღწევად მიმაჩნია. ბედნიერი ვარ, რადგან ასე კარგად არასოდეს მითამაშია.

### მაია რანიკუ,
სსრ კავშირის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი.



პირველად მივიღე მონაწილეობა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც საქვეყნოდ სახელგანთქმული მოჭადრაკეები თამაშობდნენ. მაგრამ ეს ტურნირი იყო არა მარტო ჩემი „ნათლობა" საერთაშორისო სარბიელზე, არამედ დიდი გამოცდაც პრეტენდენტთა ტურნირის წინ.

სპორტული შედეგით უკმაყოფილო არა ვარ, მაგრამ შემოქმედებითის თვალსაზრისით ჩემი პარტიები არ მომწონს. ალბათ მართალია ნ. გაფრინდაშვილი, რომ მეტად ღარიბი სადებიუტო რეპერტუარი მაქვს, რაც მიზღუდავს ფართო შემოქმედებით დიაპაზონს. ამას უეჭველად გავითვალისწინებ და პრეტენდენტთა ტურნირისთვის საგანგებოდ მოვემზადები.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ნონას თამაშმა. ვუყურებდი მის პარტიებს და ვტკბებოდი. ასე უნდა ვთამაშობდეთ ქალები! მსოფლიო ჩემპიონიც ამას ჰქვია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული მიმოხილვა



**კალათბურთი.** გუშინ გაიმართა დასკვნითი შეხვედრები. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ადგილის ბედი გადაწყდა პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდების შეხვედრაში. მატჩის პირველი ნახევარი თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, შემდეგ კი გადამწყვეტი უპირატესობა მოიპოვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოთამაშეებმა და შეხვედრა თავიანთ სასარგებლოდ დაამთავრეს.

მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტისა და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელები. მათი ორთაბრძოლა საინტერესო და დაძაბული იყო. გაიმარჯვა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდმა.

უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი პასუხსაგები შეჯიბრებისთვის გუნდების უმრავლესობა სათანადოდ არ იყო მომზადებული. შეხვედრები მთავრდებოდა ასტრონომიული ანგარიშით. მაგალითად, ფიზკულტურის ინსტიტუტის კოლექტივმა ანგარიშით 104:36 დაამარცხა პუშკინის სახელობის პედინსტიტუტის გუნდი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა ანგარიშით 117:36 გაიმარჯვეს სოხუმის პედინსტიტუტის კალათბურთელებთან შეხვედრაში.

სამწუხაროდ, შეჯიბრების მომსახურებას თავი აარიდა ბევრმა კვალიფიციურმა მსაჯმა. შეხვედრებს მსაჯობდნენ ნაკლებად გამოცდილი არბიტრები, რომლებიც, მიუხედავად თავიანთი მონდომებისა, თავს ვერართმევდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, რამაც მოთამაშეთა უკმაყოფილება გამოიწვია.

საერთოდ, ამ ბოლო დროს ხშირად გაისმის საყვედურები კალათბურთის მსაჯების მიმართ. ეს საყვედური სამართლიანია. საქალაქო და რესპუბლიკურ ღონისძიებებზე კარგა ხანია არ გამოჩენილან მაღალკვალიფიციური მსაჯები გ. ყორყოლაძე, გ. აკოფოვი, ბ. ქიქოძე და სხვ. კალათბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ და თბილისის საქალაქო სექციამ უნდა იმსჯელონ ამ მტკივნეულ საკითხზე.



**ჩოგბურთი.** დამთავრდა გუნდური პირველობა. ფინალამდე დაუმარცხებლად მოვიდნენ ძველი მეტოქეები — საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კოლექტივების უპირატესობა აშკარად იგრძნობოდა მოწინააღმდეგეებთან შეხვედრებში. პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებმა მშრალი ანგარიშით (5:0) დაამარცხეს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის წარმომადგენლები, ხოლო უნივერსიტეტის ჩოგბურთელებმა ანგარიშით 6:3 მოუგეს ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენებს.

პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდში გამოდიოდა ი. ერმოლოვა — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი. ეს დიდ უპირატესობას აძლევდა მომავალ ინჟინერთა კოლექტივს. ყოველ მეტოქესთან შეხვედრაში ი. ერმოლოვას გუნდისთვის 3 ქულა მოჰქონდა.

ასე მოხდა უნივერსიტეტელებთან მატჩშიც. ერთეულებში გამარჯვებით ანგარიში თავიდანვე პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა წაიყვანა. შემდეგ უნივერსიტეტელებმა შეძლეს მდგომარეობის გათანაბრება.

ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ი. ერმოლოვა — გ. მუსაელიანისა და ზ. სოლოდოვნიკოვა — ლ. მძინარიშვილის წყვილთა შეხვედრას, რომელშიც დამაჯერებელი ანგარიშით (8:6, 6:0) პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივმა გაიმარჯვა და მოიპოვა სტუდენტთა რესპუბლიკური სპორტული თამაშების ჩემპიონის წოდება.

ფინალური შეხვედრა მომავალმა ინჟინრებმა მოიგეს ანგარიშით 5:4.

ამგვარად, სტუდენტთა საკავშირო სპორტულ თამაშებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ორმა კოლექტივმა. ესენია პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები.





**ფარიკაობა.** დაშნით მოფარიკავეთა პირად პირველობაზე სხვა სახეობებთან შედარებით მეტმა მონაწილემ მოიყარა თავი. ფინალში გასული 9 სპორტსმენიდან რვა ოსტატი და ერთი პირველთანრიგოსანი იყო. ბრძოლები დაძაბულად წარიმართა. ჩემპიონი უნდა გამოევლინებინა სპორტის ოსტატების ცქიტიშვილისა (სპი) და სულამანიძის (თსუ) შეხვედრას. ბრძოლის მანერით ისინი ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდებიან. ცქიტიშვილი დინჯი, ტექნიკურად ძლიერი მოფარიკავეა, მისი მეტოქე კი — ტემპერამენტიანი და აგრესიული.

ბრძოლა ცქიტიშვილის უპირატესობით დაიწყო, მაგრამ სულამანიძემ სწრაფად გაათანაბრა ანგარიში და წინ გავიდა — 4:2. მალე ანგარიში კვლავ გათანაბრდა — 4:4.

გადამწყვეტი ჩხვლეტის მიყენებას თითქმის ნახევარსაათიანი ბრძოლა დასჭირდა. მეტოქეები ძალზე ფრთხილობდნენ, ელოდებოდნენ ერთმანეთის შეცდომას. ბოლოს ეს შეცდომა ცქიტიშვილმა დაუშვა, რაც ოსტატურად გამოიყენა სულამანიძემ, მოიგო შეხვედრა და პირველი ადგილიც დაისაკუთრა.

ოთხ სპორტსმენს მოგებათა ერთნაირი რაოდენობა აღმოაჩნდა. ამიტომ, მომდევნო ადგილები ჩხვლეტების მიხედვით განაწილდა. მეორე ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა ი. მაშინაიამ (სპი), მესამე — ახალგაზრდა პირველთანრიგოსანმა კ. გამრეკლიძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მეოთხე — ზ. ცქიტიშვილმა.

გუნდურ ჩათვლაში დაშნით მოფარიკავეთა შორის გაიმარჯვეს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტებმა.

აღსანიშნავია, რომ ყველა სახეობაში ჩემპიონები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები გახდნენ: ლ. შეყრილაძე, თ. ზაუტაშვილი, შ. სულამანიძე და ა. გოგელია.

**გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.**

• • •

**სურათზე:** სამედიცინო ინსტიტუტისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი

### ევა კარაკაში,

უნგრეთის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი.



პირველად ვიხილე ზღაპრული საქართველო, რომლის შესახებ ბევრი მსმენია, და სამუდამოდ მოვიხიბლე. ყველაზე უფრო გამაოცა ჭადრაკისადმი უდიდესმა სიყვარულმა თქვენში. ტურნირს ასობით გულშემატკივარი ესწრებოდა. ამის შემდეგ არ მიკვირს, რომ სწორედ ქართველი ქალია მსოფლიო ჩემპიონი.

ნონაზე შეიძლება ბევრი კარგი ითქვას. ის უდიდესი ტალანტია. ასე მხოლოდ ვერა მენჩიკი თამაშობდა.

ჩემი პარტიებიდან მომწონს შეხვედრა მ. რანიკუსთან და ენდშპილი ე. ბიკოვასთან, ტურნირის პარტიებიდან კი — ნონას შთამბეჭდავი გამარჯვება ე. კელერ-გერმანთან. ეს პარტია სოხუმის ტურნირის მარგალიტია.

საქართველოს ა. ჩაიკოვსკაიას სახით შესანიშნავი ოსტატი ჰყავს, ხოლო გ. ბუცხრიკიძისა და პატარა ნანას სახით — საიმედო ცვლა.

□

### ვერა ნედელკოვიჩი,

საერთაშორისო ოსტატი (იუგოსლავია).



ბედნიერებაა, სოხუმის ტურნირის მსგავს შეჯიბრებაში მონაწილეობა, ისიც ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. განსაკუთრებით ჩემთვის, რადგან თქვენი სამშობლო თავისი მდებარეობითა და სილამაზით მშობლიურ ქვეყანას მაგონებს.

ტურნირი გამოირჩეოდა მონაწილეთა დიდი ნიჭით, სიძლიერითა და იშვიათი მეგობრული სულისკვეთებით. მას დიდი გამოხმაურება ექნება ევროპაში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ნონამ ქალების ტურნირებისთვის უჩვეულო შედეგი აჩვენა. არ შევნატრი მას, ვისაც მატჩის თამაში მოუწევს ნონასთან; ერთი პარტიის წაგებას კიდევ შეურიგდება კაცი, მაგრამ როგორია ზედიზედ რვა რომ წააგო?!

დასანანია, რომ პრეტენდენტთა ტურნირში არ თამაშობს ჩაიკოვსკაია. იგი კარგი მოჭადრაკეა. ამ ასაკში ნანა ალექსანდრიას მსგავსი პერსპექტიული მოჭადრაკე ადრე არ მინახავს.

□

### ლიუდმილა ბელავენეცი,

მოსკოვის ორგზის ჩემპიონი,

პირველთანრიგოსანი.



რა საინტერესო ყოფილა საერთაშორისო ტურნირში თამაში! იმის შეგნება, რომ ყოველდღე ხვდები მსოფლიოში გამოჩენილ მოჭადრაკეს, საბრძოლველად განგაწყობს. მე სტუდენტი ვარ და მიყვარს კარგი ლექციების მოსმენა. სწორედ რომ შესანიშნავი ლექცია „წამიკითხა“ მსოფლიო ჩემპიონმა სტრატეგიული გეგმისა და კომბინაციური იერიშის პრაქტიკაში გახორციელების საკითხზე. მისი ლოგიკის ძალა საკუთარ თავზე ვიგრძენი. ეჰ, ნონასავით რომ ვთამაშობდე ჭადრაკს!..

გ. ბუცხრიკიძეს, პატარა ნანასა და მე მძიმე ამოცანა გვქონდა — შეგვესრულებინა სპორტის ოსტატის ნორმა. სამწუხაროდ, ეს ვერც ერთმა ვერ შევძელით. მაგრამ მომავალი წინაა.

რა დამამახსოვრდა ტურნირიდან ყველაზე უფრო? კელერ-გერმანთან ბოლო ტურის პარტია, რომელიც ძალიან მინდოდა მომეგო. ამჯერად მიზანს მივაღწიე.

## მოსწავლეთა ასპარეზობანი

### თბილისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბავშვთა ცენტრალურ სპორტსკოლაში მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გაიმართა შეჯიბრება შაში თბილისის რაიონების ნაკრებ კოლექტივთა შორის.

ბრძოლა საპრიზო ადგილებისთვის თავიდანვე 26 კომისრის, პირველი მაისისა და კალინინის სახელობის რაიონების გუნდებს შორის წარიმართა. საბოლოოდ ასეთივე თანმიმდევრობით განაწილდა საპრიზო ადგილები.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამაში შაში წელს პირველად იქნა შეტანილი. ამასთან დაკავშირებით, სპორტის ამ სახეობის დასანერგად გატარდა მთელი რიგი ღონისძიებები. შაში შეტანილ იქნა ქალაქის რაიონების მოსწავლეთა სპარტაკიადების პროგრამაში, ხოლო მანამდე მას წინ უსწრებდა რესპუბლიკური შეჯიბრება პირად პირველობაზე მოსწავლეებს შორის, სადაც ჩემპიონობა ბათუმელმა მოსწავლემ ა. ტოჩენოვმა დაისაკუთრა. გარდა ამისა, ბავშვთა ცენტრალურ სპორტსკოლაში ჩამოყალიბდა შაშის სექცია, რომლის მთავარ მწვრთნელად მიწვეულია სპორტის ოსტატი თ. ბარამიძე.

—ახლა ჩვენს ამოცანას, — განაცხადა თ. ბარამიძემ, — წარმოადგენს გამოვავლინოთ რესპუბლიკის უძლიერესი მოთამაშეები, რომლებიც სპეციალური წვრთნის გავლის შემდეგ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავენ.

**ლ. მუსხელაძე**

○

### ზუგდიდი

მოსწავლეთა XV სპარტაკიადაში გამარჯვებისთვის 9 გუნდი იბრძოდა. საერთო პირველი ადგილი მერვედ დაისაკუთრა 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივმა. აქაურმა ფიზკულტურელებმა გაიმარჯვეს მაგიდის ჩოგბურთელ და ტანმოვარჯიშე ჭაბუკების, აგრეთვე ტყვიით მსროლელთა ტურნირებში. საერთო მეორე ადგილზე გამოსულმა მე-5 სკოლის მძლეოსნებმა, ველოსიპედისტებმა და კალათბურთელმა ვაჟებმა არავის დაუთმეს უძლიერესის სახელი. მე-2 სკოლის გუნდი პირველი იყო ფრენბურთში, მე-3 სკოლის მოსწავლეები — ფეხბურთში, მე-6 სკოლისა — ჭადრაკსა და შაშში. მე-8 სკოლის გოგონათა გუნდმა ყველას აჯობა მაგიდის ჩოგბურთში.

**ბ. ალშიბაია**

○

### ქობულეთი

დამთავრდა მოსწავლეთა II საქალაქო სპარტაკიადა. პროგრამაში იყო 7 სახეობა. ი. გაგარინის სახელობის მე-2 რუსული საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გამარჯვება მოიპოვეს მძლეოსნობაში, მაგიდის ჩოგბურთში, შაშში, ჭაბუკთა ხელბურთსა და ფრენბურთში. ა. წერეთლის სახელობის 1-ლი საშუალო სკოლის გუნდები პირველები იყვნენ ჭადრაკში, კალათბურთში, გოგონათა ხელბურთსა და ფრენბურთში. მათვე დარჩათ საერთო პირველი ადგილი.

რვაწლიანი სკოლების სპარტაკიადა მოიგო მე-5 სკოლის კოლექტივმა.

**ლ. ტრაპაიძე**

## მეცნიერება — სპორტს

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ ვოლგოგრადში ჩაატარა VIII სამეცნიერო კონფერენცია სპორტის ფიზიოლოგიის, მორფოლოგიისა და ბიოქიმიის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარები, ისე ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, უნგრეთისა და კუბის წარმომადგენლები.

წაკითხული მოხსენებები ძირითადად ასახავდნენ იმ მორფოლოგიურ, ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ ცვლილებებს, რომლებიც აღიძვრის ადამიანის ორგანიზმში ფიზიკური ვარჯიშის, სპორტული წვრთნისა და შეჯიბრების პროცესში. გულ-სისხლძარღვთა სისტემის, მამოძრავებელი აპარატის, ცენტრალური ნერვული სისტემის, სუნთქვის სისტემის, ასაკობრივი თავისებურების, შრომისუნარიანობისა და ჰუმორალური რეგულაციის საკითხებს გარდა ცალკეული სხდომები მიეძღვნა აგრეთვე ორგანიზმზე იმ სპეციფიკურ გავლენას, რომელსაც ახდენს ტანვარჯიში, მძლეოსნობა, სიმძიმეების აწევა, კრივი, ჭიდაობა, ცურვა, ნიჩბოსნობა, სპორტული თამაშობანი და სპორტის ზოგიერთი სხვა სახეობანი.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების თანამშრომლებმა. კონფერენციის მასალებში ჩვენი რესპუბლიკიდან გამოქვეყნებულ იქნა მოხსენების 23 თეზისი, ხოლო თვით კონფერენციის მუშაობის პროცესში მოხსენება წაიკითხა 11-მა წარმომადგენელმა.

**შ. ჩახნაშვილი,**
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიახლის კვირტები

„ჯანმრთელობის ზონა“ — ეს სპეციალური გამოთქმა, რომელმაც მოძმე აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს ფიზკულტურული ცხოვრებიდან აიღო სათავე, დღეს ცნობილია არა მარტო მთელს ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. „ჯანმრთელობის ზონა“ ესაა პროფესორ შ. ჰასანოვის დიდი თაოსნობა, რომელიც უაღრესად კეთილშობილურ მიზანს ისახავს: ფიზიკური კულტურის მეთოდებითა და ზოგიერთი სხვა სამკურნალო საშუალებით მოსახლეობის ფართო ფენების ჯანმრთელობის გაკაჟებას, საჭიროების დროს — განკურნებასაც კი.

პროფესორ შ. ჰასანოვის წამოწყებამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა მოძმე რესპუბლიკებშიც. გამოცდილების გაზიარების მეოხებით იგი თანდათანობით მკვიდრდება სხვადასხვა ადგილას.

ამას წინათ პროფესორს ეწვია საგანგებო დელეგაცია ჩვენი რესპუბლიკიდანაც. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: თბილისის სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. რცხილაძე, საქართველოს ფიზიკური კულტურის კვლევითი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი ა. ბალუაშვილი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებლები თ. სანებლიძე და ნ. სემენიშინი, ექიმი ნ. კვირკველია.

ქვემოთ ვაქვეყნებთ თ. სანებლიძის წერილს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

სამი წელია არსებობს ბაქოში „ჯანმრთელობის ზონა“. პროფესორმა შ. ჰასანოვმა გვიამბო, რომ იგი ჯერ კიდევ 1961 წელს ჩამოყალიბდა საზოგადოებრივ საწყისებზე. ფიზკულტურის უკვე არსებულ დისპანსერთან პროფესორმა თავი მოუყარა ამ საქმით დაინტერესებულ ენთუზიასტ სპეციალისტებს — ექიმებსა და სამკურნალო ფიზკულტურის მეთოდისტებს, ჩამოაყალიბა მცირერიცხოვანი საცდელი ჯგუფი. დროთა განმავლობაში თავი იჩინა ისეთმა საინტერესო პერსპექტივებმა, რომ დაისვა საკითხი „ჯანმრთელობის ზონის“ დამოუკიდებელ ერთეულად გამოყოფის შესახებ. შედეგები მეტად თვალსაჩინო იყო და რესპუბლიკის ჯანმრთელობის სამინისტრომ, აგრეთვე სპორტკავშირმა უყოყმანოდ დაუჭირეს მხარი ამ სასარგებლო საქმეს. ამრიგად, დღეისთვის ბაქოს „ჯანმრთელობის ზონა“ დამოუკიდებელი ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი მასობრივი დაწესებულებაა.

იმან, რაც ჩვენმა დელეგაციამ საკუთარი თვალით ნახა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ჩვენ გავიცანით ზონის წამყვანი მუშაკები, დავათვალიერეთ კაბინეტები. შემდეგ გავედით მეცადინეობის პროცესის შესასწავლად, რომელსაც გადიან ოცდახუთდღიანი სპეციალური საგზურებით აქ მოსული მშრომელები.

„ჯანმრთელობის ზონაში“ ცხოვრება დილის 8 საათიდან იწყება. კასპიის ზღვის სანაპიროსთან, ქალაქის ცენტრში, რევოლუციის ბაღში თავი მოიყარა ათასამდე საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანმა. წინასწარ დადგენილი ჯგუფების მიხედვით დაიწყო დილის ჰიგიენური ტანვარჯიში ხმელეთსა და ზღვაში — სპეციალურად გამოყოფილ კატარღაზე. ვარჯიშები, რომლებსაც სამკურნალო მეთოდისტები ატარებდნენ, ძირითადად სუნთქვითი ხასიათისა იყო.

დილის ვარჯიშის გარდა, „ჯანმრთელობის ზონაში“ ექიმის დანიშვნის საფუძველზე მომეცადინე გადის კიდევ სხვადასხვა სახის პროცედურას, როგორიცაა: შრომითი თერაპია, ზღვისა და მზის აბაზანები, კლიმატოთერაპია, მცენარეთა სურნელებით მკურნალობა, ჰიდროთერაპია, მუზოთერაპია. მომეცადინეთა განკარგულებაშია კინოთეატრი, დიეტური სასადილო, სპორტული მოედნები თამაშებისა და სამკურნალო ფიზკულტურის ჩასატარებლად.

ბაქოს „ჯანმრთელობის ზონა“ პირველი სამკურნალო დაწესებულებაა, სადაც ფიზკულტურისა და სპორტის რაციონალური გამოყენებით ხდება ავადმყოფთა მკურნალობა. მისი ძირითადი პაციენტები, მა-

## „ჯანმრთელობის ზონები“ უნდა გავრცელდეს საქართველოშიც!

რთალია, ის ადამიანები არიან, რომლებსაც სურთ გაიკაჟონ ორგანიზმი, მაგრამ მოდიან ისეთებიც, რომლებსაც ესაჭიროებათ გულსისხლძარღვთა და ნერვული სისტემის მკურნალობაც. „ჯანმრთელობის ზონაში“ უარყოფილია არა მარტო ალკოჰოლი და ნიკოტინი, არამედ მედიკამენტებიც.

ამ შესანიშნავი წამოწყების სარგებლობის უტყუარი საბუთია პაციენტთა ყოველდღიური ზრდა. უკანასკნელ დრომდე „ჯანმრთელობის ზონის“ მომსახურებით 10.000 კაცი სარგებლობდა, წელს კი იგი 75 ათას ადამიანს გაატარებს. მეტად საგულისხმოა მკურნალობის დადებითი შედეგიც, რომელიც 97,7 პროცენტს აღწევს.

დღეისთვის ბაქოში უკვე შექმნილია ფიზკულტურულ - გამაჯანსაღებელი და სამკურნალო-პროფილაქტიკური რამდენიმე ზონა. მათ შესახებ იწერება უცხოურ გაზეთებშიც კი. ამ წამოწყებით დაინტერესებულნი არიან არა მარტო სოციალისტური სახელმწიფოები, არამედ ინდოეთი, ინგლისი, იტალია და დასავლეთის ზოგი სხვა ქვეყანა.

ჩვენი ღრმა რწმენაა, რომ საქართველოში არსებობს საუკეთესო პირობები ამ მეტად სასარგებლო ინიციატივის გასავრცელებლად. ბათუმში, სოხუმსა და ფოთში გაცილებით უკეთესი ბუნებრივი პირობებია, ვიდრე ბაქოში. „ჯანმრთელობის ზონა“ აუცილებლად უნდა შეიქმნას ჩვენს დედაქალაქშიც. თბილისის ზღვაზე, თუნდაც მტკვრის სანაპიროებზე, ლისისა და კუს ტბათა მიდამოებში შესანიშნავი ადგილებია, სადაც „ჯანმრთელობის ზონას“ შეუძლია დასცეს თავისი „კარვები“ და კეთილშობილური საქმიანობა გააჩაღოს მშრომელთა, პენსიონერთა, ყველა ასაკის ადამიანთა ჯანმრთელობის გაკაჟებისა და მკურნალობისთვის.

თბილისის სპორტკავშირის ხელმძღვანელობამ უკვე შეისწავლა ბაქოს „ჯანმრთელობის ზონის“ მუშაობის გამოცდილება და გადაწყვეტილი აქვს დანერგოს იგი ჩვენი დედაქალაქის სინამდვილეში, მაგრამ მხოლოდ ეს არ კმარა. აუცილებელია ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს დახმარების ხელი გაუწოდოს ჯანმრთელობის სამინისტრომაც და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებამაც, ისე, როგორც ეს მოძმე აზერბაიჯანში მოხდა.

წინ მეტად საინტერესო პერსპექტივაა.



## თითქმის ყველა სახეობაში

ბათუმში დამთავრდა აჭარის მოსწავლეთა XVI სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები ფრენბურთში, კალათბურთში, სროლაში, შაშში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში.

თითქმის ყველა სახეობაში (გარდა ფრენბურთისა) გამარჯვება წილად ხვდათ ქ. ბათუმის მოსწავლეებს. ფრენბურთში ჭაბუკთა შორის პირველი ადგილი დაისაკუთრა ქობულეთის მოსწავლეთა ნაკრებმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ბათუმელებმა. ქობულეთის რაიონისა და ქ. ქობულეთის კოლექტივებმა შესაბამისად დაიკავეს II და III ადგილები.

პ. ქებაბჩიანი

ბათუმი.

* * *

სურათზე: გოგონათა შორის 200 მეტრზე გამარჯვებული ლ. არტიომენკო.

ფოტო ავტორისა.

„Ა“ კლასი

### სსრ კავშირის პირველობა
### II ჯგუფის II ქვეჯგუფი

## თამაშს აფუჭებს... წვიმა

**თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 26 მაისი.**

**„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „არარატი“ (ერევანი) 0:0.**

**„არარატი“: მათევოსიანი — სეროფიანი, მანტარლიანი, ოვანესიანი, დალაქიანი — ავეტისიანი, გალსტიანი — გრიგორიანი, ოვივიანი, ასტვაცატრიანი (აკოფიანი), ანტონიანი.**

**„ლოკომოტივი“: რუხაძე — ჩხაიძე, ჩუბინიძე, წოწელია, კიზირია — იაშვილი, შაფათავა — აპრესიანი, მიროშნიკოვი, ახალკაცი, კოშკელოვი.**

**მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).**

საკუთარ მოედანზე ასე მონდომებით თბილისელ ფეხბურთელებს ჯერ არ უთამაშიათ მიმდინარე სეზონში. მატჩის დასაწყისიდან მსაჯის საფინალო სასტვენამდე მთელი კოლექტივი ენერგიულად, შეუპოვრად იბრძოდა ყველა ბურთისათვის. გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ აპრესიანი. იგი დამშვიდებით შეჰყურებდა თანაგუნდელთა თამაშს, ვერ აჰყვა სწრაფ ტემპს და თანდათან გამოეთიშა მატჩის მსვლელობას. სამაგიეროდ, შესანიშნავად ითამაშა „ლოკომოტივის“ ორივე გარემარბმა.

მატჩის პირველი ნახევარი მასპინძლების აშკარა ტერიტორიული უპირატესობით აღინიშნა, მაგრამ თბილისელთა განუწყვეტელი იერიშები უშედეგოდ მთავრდებოდა ხან კარში არაზუსტი დარტყმის და ხანაც მათევოსიანის კარგი თამაშის გამო.

მეორე ნახევრის დაწყებამდე მოსულმა ძლიერმა წვიმამ ჯერ 15 წუთით დააგვიანა მატჩის განახლება, ხოლო შემდეგ... გააფუჭა თამაში. მართალია, კვლავ იგრძნობოდა მასპინძლების ერთგვარი უპირატესობა, მაგრამ სტუმრებიც ხშირად უტევდნენ თბილისელთა კარს.

შეხვედრის 53-ე წუთზე „ლოკომოტივმა“ კარის აღების კიდევ ერთი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, დააგვიანა ცარიელ კარში დარტყმა, ხოლო შემდეგ, საფინალო სასტვენამდე 10 წუთით ადრე თბილისელთა კარი გადარჩა აშკარა გოლს.

ამრიგად, ეს საინტერესო და დაძაბული შეხვედრა ისე დამთავრდა, რომ ანგარიში არ გახსნილა.

**ო. გელაშვილი**

## რუმინელები ლენინგრადში

ლენინგრადი, 26 მაისი. (ტელეფონით). დღეს აქ გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ადგილობრივ „ზენიტსა“ და ორანის „უტას“ (რუმინეთი) შორის. ლენინგრადელებმა კარგად ითამაშეს და მოწინაამდეგის კარში გაიტანეს 4 ბურთი. რუმინელებმა მხოლოდ 1 ბურთის გაქვითვა მოახერხეს.

## საერთაშორისო ტურნირის მონაწილეები



### ედიტ კელერ-გერმანი,

გდრ-ის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი.

სოხუმის ტურნირზე მეგობრობისა და შემოქმედების ატმოსფერო სუფევდა. ამიტომ იყო, რომ ყველა მონაწილემ შეძლო თავისი გულისნადების გამომჟღავნება. თითქმის ყველამ ერთი-ორი კარგი პარტია ითამაშა. პირადად მომწონს ჩემი პარტია რანიკუსთან, ხოლო სხვათა პარტიებიდან ნონასი — ნედელკოვიჩთან, ბელავენეცთან, ჩაიკოვსკაიასთან და ჩემთან.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიო ჩემპიონმა. იგი ერთადერთი ქალია მსოფლიოში, რომელმაც იცის ჭადრაკის თამაში.

საერთოდ, საქართველოს მოჭადრაკეებმა საერთაშორისო კლასის თამაში გვიჩვენეს. ჩემის აზრით, ეს შედეგია თქვენს სამშობლოში ტრადიციად ქცეული საერთაშორისო ტურნირებისა. ნორჩმა ნანამ გაგვაოცა ნიჭითა და აზრიანობით.

□

### გულნარა ბუცხრიკიძე,

პირველთანრიგოსანი.



სოხუმის საერთაშორისო ტურნირი ჩემთვის ნამდვილი საჭადრაკო უნივერსიტეტი იყო. პირველთანრიგოსანს შეუძლია მხოლოდ იოცნებოს ერთ ტურნირში მსოფლიო ჩემპიონთან, სსრ კავშირის ჩემპიონთან და საჭადრაკო გვირგვინის ხუთ პრეტენდენტთან თამაში. მე კი წილად მხვდა ასეთი ბედნიერება. ვცდილობდი, რაც შეიძლება კარგად მეთამაშა. თუ რამდენად შევძელი ეს, იგი სხვამ განსაჯოს. თავად კი ვაღიარებ, რომ დიდი, „ოქროდშესაფასებელი“ გამოცდილება მივიღე.

ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ნონას პარტიამ კელერ-გერმანთან. ჩემი შეხვედრებიდან მგონი ცუდი არ უნდა იყოს ასენოვასთან გამარჯვება.

ტურნირმა თვალნათლივ დამანახა ჩემი თამაშის ხარვეზები. ახლა ვიცი, რომ მეტი ყურადღება უნდა მივაქციო შუა თამაშში გეგმის შედგენის საკითხს, ენდშპილის ტექნიკის დაუფლებას და ბევრ სხვა მომენტს.

□



### მარგარიტა ტეოდორესკუ,

რუმინეთის ჩემპიონი,
საერთაშორისო ოსტატი.

გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გადასცეთ საქართველოს სპორტულ საზოგადოებრიობას ჩემი მილოცვა ნ. გაფრინდაშვილის ბრწყინვალე გამარჯვების გამო. გულახდილად ვაღიარებ, რომ ამ ქვეყანაში ქალებმა იციან ჭადრაკის თამაში.

ჩაიკოვსკაია თვითეულ პარტიას უდიდესი მონდომებით თამაშობდა, ბუცხრიკიძეც არავის ჩამოუვარდებოდა ამ მხრივ. 15 წლის ნ. ალექსანდრია ყველასთვის სახიფათო მეტოქე იყო. ასეთი მოჭადრაკეებით ნებისმიერ ქვეყანას შეუძლია იამაყოს.

ჩემზე ტურნირმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა. ბრძოლა მოითხოვდა მთელი ძალების მობილიზაციას. მსუბუქად და „მშვიდად“ მხოლოდ ნონა თამაშობდა.

ვიცი, რუმინეთში არ მოიწონებენ ჩემს პარტიებს და არც ჩემი საბოლოო შედეგით იქნებიან კმაყოფილი. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ პრეტენდენტთა ტურნირში, რომელიც 10 სექტემბერს სოხუმში დაიწყება, უკეთესად ვითამაშებ.

„Ბ“ კლასი

### „კოლხიდა“ (ფოთი) — „შირაქი“ (ლენინაკანი) 3:0.

გუშინ სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის გუნდებს შორის ფოთის „კოლხიდამ“ თავის მინდორზე მიიღო ლენინაკანის „შირაქი“.

წვიმიანი ამინდის მიუხედავად, მატჩი საინტერესო და ტემპიან ბრძოლაში წარიმართა. თამაშის დაწყებისთანავე ფოთელმა ფეხბურთელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და ერთ-ერთი იერიში „შირაქის“ კარზე ვარდანიანის ზუსტი დარტყმით დაგვირგვინდა. პირველი ტაიმის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე გვაზავამ მეორედ აიძულა სტუმრები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში.

მეორე ტაიმში უპირატესობა გარდამავალი გახდა. და მაინც წარმატება კვლავ ფოთელებს ხვდათ წილად: კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს მიუსწრო „კოლხიდის“ მცველმა ტერენენკომ და ლამაზი თავური დარტყმით გაგზავნა „შირაქის“ კარში.

3:0 — ეს ანგარიში კარგად გამოხატავს ფოთელ ფეხბურთელთა მონდომებულ, გააზრებულ თამაშს.

• • •

ამ დღეებში ფოთის „კოლხიდა“ საერთაშორისო ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად მიემგზავრება ნორვეგიაში.

**ვ. ბუჯაბიძე**

ფოთი (ტელეფონით).

### „დინამო“ (ბათუმი) — „ლორი“ (კიროვაკანი) 1:0

გუშინ ბათუმის „დინამომ“ თავის მოედანზე მიიღო კიროვაკანის „ლორი“. თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

შესვენების შემდეგ მასპინძლებმა გააძლიერეს იერიშები და 59-ე წუთზე დანელიამ თავური დარტყმით გაიტანა ბურთი, რომელმაც ბათუმელებს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

**ო. მურვანიძე**

ბათუმი (ტელეფონით).

## ფეხბურთის მოედნებზე

## საერთაშორისო ტურნირის მონაწილენი

### ნანა ალექსანდრია,

პირველთანრიგოსანი.



ნუ მიწყენენ გულშემატკივრები, რომ მთლიანად ვერ გავამართლე მათი იმედები. ადვილი როდი ყოფილა დიდ მოჭადრაკეებთან თამაში! ჩემი მწვრთნელი ვახტანგ ქარსელაძე ამბობს, რომ სოხუმის ტურნირში მიღებული გამოცდილება დააჩქარებს ჩემს შემოქმედებით ზრდას. მეც არ დავიშურებ ძალასა და ღონეს, რომ ეს პროცესი დავაჩქარო.

რომელი პარტიები მომწონს? ნონასი — ნედელკოვიჩთან, ბელავენეცთან და კელერ-გერმანთან, ჩემებიდან კი — ვ. ასენოვასთან. ყველაზე უფრო დამამახსოვრდა ყაიმი მსოფლიო ჩემპიონთან.

ტურნირმა დამანახა, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი მეცადინეობა და ოსტატებთან შეხვედრები მჭირდება. ჩემი მიზანია გავამართლო იმედი, რომელსაც ჩემზე ამყარებენ.

□

### ვენკა ასენოვა,

ბულგარეთის ჩემპიონი,

საერთაშორისო ოსტატი.



ჩემი თავი დიდ მოჭადრაკედ არ მიმაჩნია, მაგრამ არც ისე ცუდად ვთამაშობ, რომ XI ადგილზე გამოვსულიყავი. ეს თქვენი მოჭადრაკეების — ჩაიკოვსკაიას, ბუცხრიკიძისა და ალექსანდრიას „ბრალია". მხოლოდ ნონამ „შემიცოდა" და ყაიმით დამიმთავრა პარტია. ხუმრობა იქით იყოს და, საქართველოში ქალთა ჭადრაკი მსოფლიოს ყველა ქვეყნისთვის სამაგალითოა.

მე მითამაშია დასავლეთ გერმანიის, იუგოსლავიის, ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირებში, მაგრამ ისინი თავისი ორგანიზაციით ბევრად ჩამორჩებიან თქვენსას. იუგოსლავიაში ქალთა მსოფლიო გუნდურ პირველობას მხოლოდ სეკუნდანტები და ათიოდე მაყურებელი ესწრებოდა, სოხუმში კი... ზოგჯერ კაცი შესასვლელ ბილეთს ვერ შოულობდა.

გაფრინდაშვილი ყველაზე დიდი ტალანტია. ვერ ვხედავ მოჭადრაკეს, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს ნონას.

□

### ელისაბედ ბიკოვა,

მსოფლიოს ექს-ჩემპიონი,

საერთაშორისო ოსტატი.




რა მეთქმის ბოლო ადგილზე გამოსულს? ცხადია, მთელი ძალით ვერ ვითამაშე. არ ვიცი, რისი ბრალია, — ასაკისა თუ ცუდი სპორტული ფორმისა. ის კი სიმართლეა, რომ ხუთი პერსპექტიული პარტია ცაიტნოტში წავაგე (მაგალითად, ბუცხრიკიძესთან).

ტურნირში მონაწილეობისას მიზნად მხოლოდ ვარჯიშს ვისახავდი. სწორედ ამ შეჯიბრების წინ დიდი წიგნი დავამთავრე მოჭადრაკე ქალებზე და დაღლილიც ვიყავი. თუ როგორი წვრთნა მივიღე, მომავალი მაჩვენებს. ახლა მეტი ინტენსიობით შევუდგები მზადებას პრეტენდენტებთან საბრძოლველად.

მინდა აღვნიშნო ტურნირის ჩინებული ორგანიზაცია და საქართველოს მოჭადრაკეების თვალშესავლები ზრდა. ნონა მართლაც ძალიან გაზრდილა!

## ჭადრაკი და დოლარები

ა პ ნ

სამუელ რეშევსკის არ ეგონა, რომ საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირში პირველი პარტიის თამაში დიდოსტატ პალ ბენკოსთან მოუხდებოდა. საქმე ისაა, რომ ბენკომ ჭადრაკის გვირგვინისთვის ბრძოლის უფლება ჯერ კიდევ პირველ ეტაპზე დაკარგა: შეერთებული შტატების ზონალურ პირველობაში წარუმატებელმა გამოსვლამ იგი ამსტერდამის ტურნირის მიღმა დატოვა.

მაგრამ აი, მოულოდნელად, 20 მაისს ბენკო საჭადრაკო მაგიდას მიუჯდა. მონაწილეთა უმრავლესობისთვის ეს სიურპრიზი იყო. სატურნირო კომიტეტის ხელმძღვანელმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა დოქტორ მაქს ეივემ განაცხადა, რომ ბენკო მეორე ამერიკელ დიდოსტატს არტურ ბისკაიერს შეცვლის.

რატომ თქვა ბისკაიერმა უარი ამ ტურნირში მონაწილეობაზე? ვინც არ იცნობს შეერთებული შტატების საჭადრაკო ცხოვრებას, პასუხმა შეიძლება ოდნავ გააოცოს: დიდოსტატმა თავისი უფლება დათმო... 500 დოლარად.

... არტურ ბისკაიერი პრეტენდენტთა უკანასკნელ ტურნირზე კიურასაოში რობერტ ფიშერის სეკუნდანტი იყო. ფიშერის შემოქმედებასთან კონტაქტმა მას, როგორც ჩანს, სარგებლობა მოუტანა. ნიუ-იორკში დაბრუნების შემდეგ იგი შეერთებული შტატების ზონალურ ჩემპიონატში წარმატებით გამოვიდა, მხოლოდ ბოლო ტურში გადაუსწრო მას რობერტ ფიშერმა.

მეორე ადგილმა არტურ ბისკაიერს საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება მისცა. დიდოსტატი ემზადებოდა ამსტერდამში გასამგზავრებლად, როდესაც უცნობმა საჭადრაკო მეცენატმა მას ხელსაყრელი წინადადება მისცა:

— გთავაზობთ დიდოსტატ პალ ბენკოსთან მატჩს. პარტიების რაოდენობა თქვენ თვითონ დააზუსტეთ. ყველა ხარჯს ჩემს თავზე ვიღებ. პირობა ასეთია: გამარჯვებული მიიღებს ჯილდოს ორ მესამედს და... ამსტერდამის საგზურს.

როგორი იქნება ჯილდო? — იკითხა ბისკაიერმა, რომელსაც ჰოლანდიაში გასამგზავრებელი ფული ჯერ კიდევ საშოვნი ჰქონდა.

— 1.500 დოლარი.

ბისკაიერმა მდგომარეობა ფხიზელი თვალით შეაფასა და პირობას დათანხმდა. გამარჯვების შემთხვევაში ეს მატჩი მას ფინანსური მდგომარეობის გამოსწორების საშუალებას აძლევდა. დამარცხების შემთხვევაშიც იგი არაფერს კარგავდა, — 500 დოლარი ქუჩაში არ გდია

მატჩის შედეგმა მეცენატის იმედები გაამართლა. მეშვიდე პარტიის შემდეგ არტურ ბისკაიერმა თავი დამარცხებულად ცნო. ტყუილად არ გასწირა 1.500 დოლარი მეცენატმა

— მე მსურდა პალ ბენკოსთვის ერთხელ კიდევ შემექმნა პირობები. მან უნდა სცადოს ძალები მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის ბრძოლაში.

როგორც ხედავთ, დღევანდელ ამერიკაში ფულით ყველაფერს იყიდი — საზონათშორისო ტურნირის საგზურსაც კი.

## საზღვარგარეთის ამბები

### დარჩა სამთო ეტაპები

იტალიის მრავალდღიანი ველორბოლის „ჯირო დ' იტალიის" მონაწილეებმა ტრასის შედარებით იოლი მონაკვეთები უკვე განვლეს. დარჩა მთაგორიანი ეტაპები.

VII ეტაპის სიგრძე (ვერონადან ლავაროლემდე) 168 კილომეტრს უდრიდა. ტრასის უკანასკნელი მონაკვეთი 50-კილომეტრიანი აღმართი იყო. სწორედ აქ დაწინაურდა ექვსეული ა. სოლერის, ა. გომეს დელ მორალის (ორივენი — ესპანეთიდან), კ. ბრუნიამის, ნ. დეფილიპოს, გ. ბატისტინის (სამივენი— იტალიიდან) და პ. ევერარის (საფრანგეთი) შემადგენლობით. ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე ესპანელმა ა. სოლერმა გადაკვეთა. ჟ. ანკეტილი (საფრანგეთი) ლიდერობას კვლავ ინარჩუნებს.

### მინდორზე არიან ჟურნალისტები

რომში შედგა ტრადიციული საფეხბურთო ტურნირი იტალიის მსხვილი გაზეთების რედაქციათა გუნდების მონაწილეობით. ფინალში გაზეთმა „ტემპომ" ანგარიშით 2:0 დაამარცხა „პაზე სერა".

### ოთხიდან — სამი

შესანიშნავი იაპონელი ძალოსანი ი. მიაკე მსოფლიოს ოთხ რეკორდს ფლობდა. თავის დროზე ერთი რეკორდი მან ჩინელ ძალოსან ჩენ ძინკაის ჩამოართვა. ამას წინათ ჩინელმა ძალოსანმა კვლავ დაიბრუნა მსოფლიო რეკორდი: მან აკვრაში 151,5 კილოგრამი აჩვენა და ი. მიაკეს რეკორდი 1 კილოგრამით გააუმჯობესა. ამრიგად, ი. მიაკეს 4 რეკორდიდან დარჩა 3.

### ჩემპიონები სპორტს უბრუნდებიან

მიმდინარე წლის მარტში ცნობილი ავსტრალიელი მოცურავე დ. ფრეზერი საავტომობილო კატასტროფაში მოყვა. ავარიის შედეგად ფრეზერის დედა დაიღუპა, თვით სპორტსმენს კი სერიოზულად დაუზიანდა ხერხემალი.

რამდენიმე დღის წინ მოცურავემ განაახლა ვარჯიში. მისი პირველი წვრთნა ხანგრძლივი არ იყო. სპორტსმენმა მწვრთნელის ვ. გალაჰერის მეთვალყურეობით მხოლოდ 800 მეტრი გაცურა.

* * *

მსოფლიო ჩემპიონმა პროფესიულ ველოსიპედისტთა შორის იტალიელმა სანტე გაიარდონიმ მძიმე ტრავმის შემდეგ საავადმყოფოში სამი თვე დაჰყო. ერთი თვის წინ მან წვრთნა განაახლა, მაგრამ მცირე ხნით. ცნობილ საესტრადო მომღერალთან ელზე კვარტასთან შეუღლების გამო იგი საქორწილო მოგზაურობაში იმყოფება.

## ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

ეს იყო 1922 წელს, მოსკოვში რსფსრ-ს მძლეოსანთა I შეჯიბრება ტარდებოდა. 100 მეტრზე ქალთა შორის რბენის სტარტზე გამოვიდა ყველასათვის უცნობი გოგონა, რომელიც წუთს ვერ ჩერდებოდა ადგილზე, მოუსვენრად ტრიალებდა. მონაწილენი მოემზადნენ. მსაჯმა განკარგულების დამთავრება ვერ მოასწრო, რომ უცნობი ადგილს მოწყდა. ეს იყო ნამდვილი ფალსტარტი. მის კონკურენტთაგან არავინ დაძრულა ადგილიდან. გოგონა კი ფინიშს უახლოვდებოდა. ყურადღებას არ აქცევდა მაყურებელთა ყიჟინას...

მაშინდელი წესების თანახმად, სპორტსმენს, რომელმაც საკუთარი თავი ამაო რბენით დასაჯა, 15 წუთით შესვენების უფლება მისცეს. განმეორებითი სტარტი შესანიშნავი გამოდგა. გოგონამ პირველი ადგილი მოიპოვა. ასე გაიცნეს სპორტის მოყვარულებმა ურალელი ვ. ჟურავლიოვა, რომელმაც შემდგომ 11 შესწორება შეიტანა საბჭოთა კავშირის რეკორდების ცხრილში.

აი, მის მიერ დამყარებული ზოგიერთი საკავშირო რეკორდი: 60 მეტრზე რბენა — 8,4; 100 მეტრზე რბენა — 13,4; სიგრძეზე ხტომა — 4,66 მეტრი. თუ მათ თანამედროვე მაჩვენებლებს შევადარებთ, გავიგებთ თუ როგორი იყო რეკორდესი საბჭოთა სპორტის გარიჟრაჟზე.

მეტად საინტერესოა ვ. ჟურავლიოვას სპორტსმენად ჩამოყალიბების გზა. ვალენტინას მშობლებს, მის გარდა ათი შვილი ჰყავდათ. ყველას ზედამხედველობა, ცხადია, ჭირდა და გოგონას ბევრი თავისუფალი, საკუთარი „შეხედულებისამებრ" გამოსაყენებელი დრო ჰქონდა. ერთხელ იგი შემთხვევით დაესწრო წევამდელთა ფიზმომზადებას. მეორე დღეს კი თანატოლები მოაგროვა და... დაიწყო „ველური" ვარჯიშები ყოველგვარი მწვრთნელის გარეშე.

დიდ ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ სწრაფად იწყო ზრდა შედეგებმა. 1923 წელს, ფიზკულტურელთა პირველ საკავშირო დღესასწაულზე, ვალენტინამ ახალი რეკორდი დაამყარა 60 მეტრზე რბენაში — 8,3, ხოლო ჰოკით ხტომაში დაძლია 2,16 მეტრი, რაც 2 სანტიმეტრით ჩამორჩებოდა მსოფლიო რეკორდს (იმ დროს ქალები ჰოკითაც ხტებოდნენ).



ერთი წლის შემდეგ იგი უკვე საკავშირო ნაკრების შემადგენლობაში იყო და ჩეხოსლოვაკიის ქალაქებში — რეიჰენბერგსა და კოშიცეში გამართულ საბჭოთა მძლეოსნების პირველ საერთაშორისო მატჩში ცდიდა ძალებს. ვ. ჟურავლიოვა სამ სახეობაში გამოვიდა სექტორზე და სამჯერვე პირველი იყო. ამასთან ორი შესწორება შეიტანა საკავშირო რეკორდების ცხრილში.

განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი უკანასკნელი გამოსვლა სიგრძეზე ხტომაში. 1926 წლის გაზაფხულზე ხმა გავრცელდა, რომ მანამდე უცნობი მ. შამანოვა ვარჯიშის დროს 5 მეტრს ძლევდა სიგრძეზე ხტომაში. მალე, 27 ივნისს, ჟურავლიოვას საშუალება მიეცა სახტომ სექტორზე პირადად გაცნობოდა იმას, ვინც მის რეკორდს „ემუქრებოდა". შამანოვამ დასაწყისშივე 3 სანტიმეტრით გააუმჯობესა ჟურავლიოვას მიღწევა, მაგრამ ვალენტინა დანებებას არ აპირებდა. პირველსავე ცდაზე მან მეტოქის მაჩვენებელს 8 სანტიმეტრი მოუმატა. გამარჯვება საბოლოოდ მაინც „დამწყებს" დარჩა. ფინალში შამანოვამ დაძლია 5,26 მეტრი და რეკორდების ცხრილში ჟურავლიოვას ადგილი დაიკავა. ეს იყო ვალენტინას პირველი დამარცხება.

მცირე ხნის შემდეგ ვ. ჟურავლიოვა მძიმე ტრავმის გამო გამოემშვიდობა სპორტს და ახალგაზრდობის აღზრდას მიჰყო ხელი.

* * *

სურათზე: ვ. ჟურავლიოვა სტარტზე.

### შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 26 მაისის ნომრში მეოთხე გვერდზე დაბეჭდილ წერილში „ტრაგედია პერუში" კორექტორების უყურადღებობის გამო დაშვებულია შეცდომა.

ბოლო სვეტის პირველი აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „პერუს პრეზიდენტმა გამოაცხადა 30-დღიანი საკონსტიტუციო გარანტიის ჩამორთმევა, რათა გამოიძიონ ეს საშინელი უბედურება. ეს კი ნიშნავს, რომ პოლიციას უფლება აქვს დაკითხოს ნებისმიერი მოქალაქე, გაჩხრიკოს ყოველი ბინა".

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების—3-35-09.



ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 07885